სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/90

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ გივი გავარდაშვილის მოხსენებითი ბარათი ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე (მეცნიერი თანამშრომელი, ორი საშტატო ერთეული) კონკურსის გამოცხადების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის $რ^5$ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი გივი გავარდაშვილის 9 მარტის N283289 წერილის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება		
მეცნიერი თანამშრომელი	1	მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს: - სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების მიზნები და ამოცანები; - ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა–ძიებების შესახებ; -მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები. შენიშვნა: თუ პირს ადრე ეკავა სამეცნიერო თანამდებობა და ამჟამად კენჭს იყრის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე, მაშინ მას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომი.
კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტი გამგე - მეცნიერი თანამშრომელი		
პუნქტი გამგე მეცნიერი თანამშრომელი	1	მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს: - სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების მიზნები და ამოცანები; - ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა–ძიებების შესახებ; -მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები. შენიშვნა: თუ პირს ადრე ეკავა სამეცნიერო თანამდებობა და ამჟამად კენჭს იყრის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე, მაშინ მას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომი.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**